



## მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის  
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშზე

2020 წელი

## შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები .....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა .....	4
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლების შესრულება.....	8
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება .....	8
3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები .....	10
3.1 გადასახადები .....	10
3.2 სხვა შემოსავლები .....	12
3.2.1 დივიდენდები .....	13
4. არაფინანსური აქტივების კლება .....	15
5. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები .....	18
5.1 ხარჯები .....	21
5.1.1 შრომის ანაზღაურება .....	24
5.2. არაფინანსური აქტივების ზრდა.....	25
5.3 ვალდებულებების კლება.....	27
6. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია .....	28
7. ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი.....	31

## ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

**მოხსენების  
სამართლებრივი  
საფუძვლები**

მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 135-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

**მოხსენების  
დოკუმენტური  
საფუძვლები**

მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში; ბ) მხარჯავი დაწესებულებების მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები.

**რესპუბლიკური  
ბიუჯეტის  
შესრულების  
მიმდინარეობის  
შესახებ ანგარიშის  
მომზადებაზე  
პასუხისმგებლობა**

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.

**სახელმწიფო  
აუდიტის  
სამსახურის  
პასუხისმგებლობა**

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.

**ზოგადი შეფასება**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული საკითხების გარდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

## შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში წარმოდგენილია საკითხები, რომლებზეც მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება, კერძოდ:

- ⌋ 2019 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი 18,136.8 ათასი ლარით შემცირდა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 34,449.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების გეგმური მაჩვენებლის 34.6%-ია. ნაშთის გამოყენებასთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღნიშნავდა წინა პერიოდის დასკვნებსა და მოხსენებებში, თუმცა გაცემული რეკომენდაციები მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული, რაც ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმვასა და არსებული რეზერვების არაეფექტიან გამოყენებაზე მიუთითებს.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო რესურსის დროული, სრული და ეფექტიანი გამოყენება, რაც შესაძლებელს გახდის მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავებას, დაგეგმვასა და განხორციელებას. ამასთანავე, გამოკვლეულ უნდა იქნეს ბიუჯეტის დროულად შეუსრულებლობის თითოეული შემთხვევა და სუბიექტური მიზეზების გამოვლენის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირების მიმართ გატარდეს სათანადო ღონისძიებები.
- ⌋ 2019 წლის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი 307,830.5 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 106.2%-ია. შემოსულობების წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, ცალკეული კომპონენტის მიხედვით ფიქსირდება გეგმის შეუსრულებლობის ფაქტები, კერძოდ: არაფინანსური აქტივების კლების წლიური გეგმა შესრულებულია 69.6%-ით, რაც პრივატიზაციის პროცესის არასათანადო მენეჯმენტზე მიუთითებს. ამასთანავე, შემოსულობების ცალკეული კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია, კერძოდ: „რენტას“ კომპონენტში გეგმა გადაჭარბებულია 4.9-ჯერ, ხოლო „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ კომპონენტში – 41.2-ჯერ. წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ „სხვა შემოსავლების“ გადაჭარბებით შესრულება საპროგნოზო მაჩვენებლების სათანადო ანალიზის გარეშე, პესიმისტური დაგეგმვითაა განპირობებული.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, მიზანშეწონილია არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებითა და ახალი რესურსების მოძიების გზით, უზრუნველყოფილ იქნეს პრივატიზაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელება. მათ შორის, უნდა განხორციელდეს ავტონომიურ რესპუბლიკაში განთავსებული ყველა საჯარო ქონების დროული მოძიება-აღრიცხვა და რეგისტრაცია, ხოლო საპრივატიზებო ქონების შემთხვევაში – მიზნობრივი სეგმენტის სწორად შერჩევა და ეფექტიანი მარკეტინგი. გარდა ამისა, მიზანშეწონილია გაკეთდეს გასულ წლებში შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტობრივად მიღებული თანხების საფუძვლიანი ანალიზი და სისტემურობის გათვალისწინებით, განისაზღვროს დასაგეგმი წლის საბიუჯეტო პარამეტრები.

⌋ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 36 საწარმოდან, 2019 წელს დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 3 საწარმოს, საიდანაც შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ და შპს „სავაჭრო ცენტრ 2009“-ის მიერ გადახდილი დივიდენდის საერთო წილი 99.4%-ს (ანუ 2,532.8 ათას ლარს) შეადგენს. არსებული მონაცემები მიუთითებს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მენეჯმენტში არსებულ პრობლემებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაკონტროლებელი სამინისტროების მხრიდან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, დაწყებულია ამ მიმართულებით მუშაობა, თუმცა გატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისი და ადეკვატური იმ პრობლემების საპასუხოდ, რაც ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებს აქვთ. კერძოდ, მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამისობის აუდიტის შემდეგ დაიწყო მუშაობა აღნიშნული საწარმოების კუთვნილი აქტივების მოძიებისა და აღრიცხვის მიმართულებით, თუმცა ამ დრომდე არ ხდება საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგებების საფუძვლიანი განხილვა-შეფასება, ბიზნესგეგმების დამტკიცება და ა.შ., რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საწარმოების არაეფექტიან მენეჯმენტს და შესაბამისად, უარყოფით ფინანსურ შედეგებს.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ საწარმოებში მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია მაკონტროლებელმა სამინისტროებმა უზრუნველყონ საწარმოების

წლიური ბიზნესგეგმების და ფინანსური ანგარიშგებების საფუძვლიანი განხილვა-დამტკიცება, ხოლო შეუსაბამობების/არაეფექტიანი მენეჯმენტის გამოვლენის შემთხვევაში, ადეკვატური ღონისძიებების დროული გატარება. ამასთანავე, მიზანშეწონილია მაკონტროლებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ იქნეს ხედვა – არამომგებიანი საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის მიმართულებით.

- J) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელების ფაქტობრივმა შესრულებამ 325,967.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 95.3%-ია. გადასახდელების ანალიზისას, საყურადღებოა ფისკალური წლის დასასრულს საბიუჯეტო გეგმის ათვისების მკვეთრი ზრდის ტენდენცია. კერძოდ, დეკემბერში ათვისებული საბიუჯეტო რესურსის მოცულობა, 11 თვის საშუალო თვიურ მაჩვენებლის 306.2%-ია. წლის ბოლოს ბიუჯეტიდან გადასახდელების მოცულობის არსებითი ზრდა საჯარო ფინანსების მართვაში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე მიუთითებს. აღნიშნულთან დაკავშირებულ რისკებზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღნიშნავდა წინა პერიოდის დასკვნებსა და მოხსენებებში, თუმცა ამ მიმართებით გაცემული რეკომენდაციები არ არის გათვალისწინებული, რასაც ადასტურებს 2019 წლის დეკემბერში გადასახდელების ათვისების მაჩვენებლები.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია როგორც მხარჯავი დაწესებულებების, ისე მათი მაკოორდინირებელი უწყებების მხრიდან, საკითხის სიღრმისეული შესწავლისა და ფაქტებზე შესაბამისი რეაგირებით (მათ შორის, პასუხისმგებელი პირების მითითებით) უზრუნველყოფილ იქნეს ასიგნებების დროული და თანაბარზომიერი ათვისება. აღნიშნული მნიშვნელოვანია როგორც ბიუჯეტის შესრულების რეალური მაჩვენებლებით წარმოჩენის, ასევე საბიუჯეტო რესურსის მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველსაყოფად.
- J) 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მთლიანი მოცულობის 74.3%-ს ხარჯები შეადგენს, რომლის ფაქტობრივმა შესრულებამ 242,270.0 ათასი ლარია (წლიური გეგმის 95.8%). „ხარჯების“ მუხლში ბიუჯეტის ათვისების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების საკასო შესრულების დაბალი მაჩვენებლით. მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების ანალიზით ირკვევა, რომ ბიუჯეტის ათვისებლობა

ხშირად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები არ ხორციელდება ან ხორციელდება არაჯეროვნად, ან/და მიმწოდებლები არ ასრულებენ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს. აუთვისებლობის ერთ-ერთი მიზეზია ასევე ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიები, რაც რიგ შემთხვევაში განპირობებულია იმით, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ბაზრის სათანადო კვლევის გარეშე განსაზღვრული.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია ეფექტიანი მონიტორინგი განხორციელდეს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადაცემული კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების დროულად ათვისების მიზნით, გამოკვლევულ იქნეს ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები.
  
- ⌋ აგრეგირებულ დონეზე გადასახდელების შესრულების მაჩვენებლების მიუხედავად, დაბალი ათვისებით ხასიათდება ცალკეული პროგრამა/ქვეპროგრამა. ამასთანავე, მათი ნაწილის შემთხვევაში, ასიგნებები საერთოდ არ იქნა ათვისებული. ჯამურად, დაზუსტებული გეგმის 75%-ზე ნაკლები ათვისების მაჩვენებელი გააჩნია 8 პროგრამას/ქვეპროგრამას, საიდანაც აუთვისებული დარჩა 5,135.4 ათასი ლარის ფინანსური რესურსი.
  
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ პროგრამების შემუშავება განხორციელდეს მოსახლეობის საჭიროებების სათანადო შესწავლისა და დეტალური ანალიზის საფუძველზე, ხოლო პროგრამის განუხორციელებლობის/არაჯეროვანი განხორციელების თითოეულ შემთხვევაში გამოკვლევულ იქნეს მიზეზები და სუბიექტური ფაქტორის აღმოჩენის შემთხვევაში, გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები. ამასთანავე, გამოთავისუფლებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული ახალი პროგრამების/ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

## 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლების შესრულება

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობები – 279,346.0 ათასი ლარით, გადასახდელები კი – 324,044.0 ათასი ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ნაშთის ცვლილების წლიური გეგმა 44,698.0 ათას ლარს შეადგენდა.

2019 წლის ივნისში რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელდა ცვლილებები,<sup>1</sup> რის შედეგად შემოსულობების გეგმა 289,846.0 ათას ლარამდე (10,500.0 ათასი ლარით, ანუ 3.8%-ით), ხოლო გადასახდელების გეგმა 342,203.4 ათას ლარამდე (18,159.4 ათასი ლარით, ანუ 5.6%-ით) გაიზარდა, ნამეტი გადასახდელების დაფინანსება კი, შემოსულობების ზრდისა და ნაშთის ცვლილების ხარჯზე დაიგეგმა, რომლის წლიური გეგმა 7,659.4 ათასი ლარით გაიზარდა.

2019 წლის შემოსულობების ფაქტობრივმა მაჩვენებლებმა გადააჭარბა რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმას და 106.2% შეადგინა, ხოლო გადასახდელების ფაქტობრივმა მაჩვენებლებმა – წლიური გეგმის 95.3%.

*ცხრილი 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლების შესრულება (ათასი ლარი)*

დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის კანონი – თავდაპირ. (1)	2019 წლის ბიუჯეტის კანონი – საბოლოო (2)	2019 წლის ფაქტი (3)	შესრულება (3)/(1)	შესრულება (3)/(2)
შემოსულობები	279,346.0	289,846.0	307,830.5	110.2%	106.2%
გადასახდელები	324,044.0	342,203.4	325,967.3	100.6%	95.3%
ნაშთის ცვლილება	44,698.0	52,357.4	18,136.8	40.6%	34.6%


## 2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი 18,136.8 ათასი ლარით შემცირდა და 34,449.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმური მაჩვენებლის 34.6%-ია.

<sup>1</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. 88-უ.ს.რ.ს. 06/06/2019.




დიაგრამა 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა წლების მიხედვით (მლნ ლარი)



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო წლებში გამოუყენებელი რჩება რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი მნიშვნელოვანი თანხები, რომელმაც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 52,585.7 ათასი ლარი შეადგინა. ნაშთის გამოყენებასთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღნიშნავდა წინა პერიოდის დასკვნებსა და მოხსენებებში, თუმცა გაცემული რეკომენდაციები ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული. კერძოდ, ნაშთ 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემებთან მიმართებით 18,136.8 ათასი ლარით შემცირდა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 34,449.3 ათას ლარი შეადგინა.

დიაგრამა 2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



ზემოაღნიშნულ დიაგრამაზე ნათლად ჩანს, რომ 2019 წელს ყოველთვიურად ირიცხება მოცულობითი ნაშთი, ხოლო დეკემბერში შედარებით მცირდება. ხაზინის ინფორმაციით, 2019

წლის დეკემბერში გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებლის 306.2% შეადგინა. ზემოაღნიშნული დაკავშირებულია წლის განმავლობაში გადასახდელების/მისი ცალკეული კომპონენტის ათვისების ჩამორჩენასთან კვარტალურ გეგმებთან მიმართებით და რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების სახით (ავანსად) გაცემულ თანხებთან (4,902.8 ათასი ლარი).<sup>2</sup> ამასთანავე, თუ დეკემბერში არ განხორციელდებოდა თანხების ათვისებისკენ მიმართული საავანსო ანგარიშსწორებები, მაშინ 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთი კიდევ უფრო მეტი, არანაკლებ – 39,000.0 ათასი ლარი დარჩებოდა.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო რესურსის დროული, სრული და ეფექტიანი გამოყენება, რაც შესაძლებელს გახდის მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავებას, დაგეგმვასა და განხორციელებას. ამასთანავე, გამოკვლეულ უნდა იქნეს ბიუჯეტის დროულად შეუსრულებლობის თითოეული შემთხვევა და სუბიექტური მიზეზების გამოვლენის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირების მიმართ გატარდეს სათანადო ღონისძიებები.

### 3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2019 წელს მიღებული შემოსავლების მოცულობამ 270,996.0 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის 108.7% შეადგინა, რაც 12.9 პროცენტული პუნქტით მეტია 2018 წლის მაჩვენებელზე.

ცხრილი 2. შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

შემოსავლების კომპონენტები	2019 წლის გეგმა (1)	2019 წლის ფაქტი (2)	გადახრა (2)-(1)	გეგმის შესრულება (2)/(1)
გადასახადები	261,000.0	274,871.5	13,871.5	105.3%
სხვა შემოსავლები	9,996.0	19,830.0	9,834.0	198.4%
<b>სულ:</b>	<b>270,996.0</b>	<b>294,701.5</b>	<b>23,705.49</b>	<b>108.7%</b>


#### 3.1 გადასახადები

შემოსავლების სტრუქტურაში უდიდესი წილი გადასახადებზე (საშემოსავლო გადასახადი) მოდის, რაც მთლიანი შემოსავლების 93.3%-ს შეადგენს. ხაზინის მონაცემებით, 2019 წელს მიღებული გადასახადების მოცულობამ 274,871.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 105.3%-ია და 11.8 პროცენტული პუნქტით მეტია 2018 წლის მაჩვენებელზე. წარმოდგენილი

<sup>2</sup> ფაქტობრივად არ არის დამოწმებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ საბიუჯეტო გეგმის გადაჭარბებით შესრულება განაპირობა ბიუჯეტის გეგმური პარამეტრის, რეგიონის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების და ბოლო წლებში საშემოსავლო გადასახადის ზრდის ტენდენციის საფუძვლიანი ანალიზის გარეშე დაგეგმვამ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში არ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ამ საკითხზე ადრე გაცემული არცერთი რეკომენდაცია; მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საშემოსავლო გადასახადის საკასო შესრულების მონაცემებმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციის მართებულობა სრულად დაადასტურა.

დიაგრამა 3. საშემოსავლო გადასახადი 2015-2019 წლებში (ათასი ლარი)



ცხრილი 3. საშემოსავლო გადასახადის შესრულების დინამიკა 2015-2019 წლებში (ათასი ლარი)

საშემოსავლო გადასახადი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	ზრდა 2015-2016 წწ.	ზრდა 2016-2017 წწ.	ზრდა 2017-2018 წწ.	ზრდა 2018-2019 წწ.
გეგმა	147,000.0	180,000.0	210,000.0	225,000.0	261,000.0	22.4%	16.7%	7.1%	16.0%
ფაქტი	167,384.7	185,370.9	222,876.4	245,804.2	274,871.5	10.7%	20.2%	10.3%	11.8%
ბიუჯეტის შესრულება	113.9%	103.0%	106.1%	109.2%	105.3%				

როგორც ცხრილიდან ჩანს, საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებული სახსრების მოცულობა გეგმურ მაჩვენებელს ყოველთვის მნიშვნელოვნად აღემატება და ყოველწლიურად

ფაქტობრივი შესრულება, მინიმუმ, 10%-ინი ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტი ყოველწლიურად პესიმისტური პროგნოზით, ფაქტობრივი შემოსავლებისა და რეგიონის ეკონომიკური ზრდის მონაცემების საფუძვლიანი ანალიზის გარეშე იგეგმება, რაც შესაძლოა მიმართული იყოს საშემოსავლო გადასახადის მაღალი მაჩვენებლით შესრულების წარმოსაჩენად.

### 3.2 სხვა შემოსავლები

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით „სხვა შემოსავლების“ წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი 9,996.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო მობილიზებული სახსრების ოდენობამ 19,830.0 ათასი ლარი შეადგინა (დაზუსტებული გეგმის 198.4%).

ცხრილი 4. სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

სხვა შემოსავლების კომპონენტები	2018 წლის ფაქტი (1)	2019 წლის გეგმა (2)	2019 წლის ფაქტი (3)	გადახრა (3)-(1)	გადახრა (3)-(2)	შესრულება (%) (3)/(2)
შემოსავლები საკუთრებიდან	13,827.0	9,396.4	15,827.0	2,000.0	6,430.6	168.4%
პროცენტები	10,562.8	5,525.0	6,556.0	-4,006.8	1,031.0	118.7%
დივიდენდები	2,473.2	2,500.0	2,547.4	74.3	47.4	101.9%
რენტა	791.1	1,371.4	6,723.6	5,932.5	5,352.2	490.3%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	629.4	419.6	571.5	-58.0	151.9	136.2%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	136.0	100.0	135.6	-0.4	35.6	135.6%
შერეული და სხვა არაკლასიფიც. შემოსავლები	630.4	80.0	3,295.9	2,665.5	3,215.9	4119.9%
<b>სულ სხვა შემოსავლები:</b>	<b>15,222.9</b>	<b>9,996.0</b>	<b>19,830.0</b>	<b>4,607.1</b>	<b>9,834.0</b>	<b>198.4%</b>

როგორც ცხრილიდან ჩანს, „სხვა შემოსავლების“ ცალკეული კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი, გეგმური პარამეტრების სათანადო ანალიზის გარეშე დაგეგმვის გამო, მაღალია. მაგალითად, „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ კომპონენტში გეგმა შესრულებულია 3,215.9 ათასი ლარის გადაჭარბებით. მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მკვეთრი გადახრების გამომწვევი მიზეზები არ არის განმარტებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სხვა შემოსავლების“ საპროგნოზო მაჩვენებლის დაუსაბუთებლად, წინა წლის ფაქტობრივად მიღებულ შემოსავლებზე ნაკლები ოდენობით განსაზღვრასთან დაკავშირებით, ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა პერიოდის დასკვნებსა და მოხსენებებში და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციებიც, თუმცა რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის გამო მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა, კერძოდ:

„შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ კომპონენტში 2018 წლის ფაქტობრივმა შემოსავლებმა შეადგინა 630.4 ათასი ლარი. აღნიშნულის მიუხედავად, 2019 წლის გეგმა განისაზღვრა 80.0 ათასი ლარით. შედეგად, 2019 წლის ფაქტობრივმა შემოსავალმა გეგმას რამდენჯერმე, 3,215.9 ათასი ლარით გადააჭარბა და შეადგინა 3,295.9 ათასი ლარი (წლიური გეგმის 4119.9%). მოპოვებული ინფორმაციით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები ძირითადად შედგება ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან მიღებული შემოსავლებისა და წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებული შემოსავლებისაგან. მართალია, ამ ტიპის შემოსავლების ზუსტად განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია, თუმცა ასეთი მოცულობის გადახრის არსებობა მიუთითებს, რომ პასუხისმგებელი პირების მხრიდან ბიუჯეტი საფუძვლიანი ანალიზის გარეშე დაიგეგმა.


„რენტის“ კომპონენტში გეგმა შესრულებულია 5,352.2 ათასი ლარის გადაჭარბებით (წლიური გეგმის 490.3%). „რენტის“ გეგმურ პარამეტრზე მნიშვნელოვანი გადაჭარბება გამოწვეულია მდინარე აჭარისწყალზე, ჰესის ტერიტორიიდან შპს „აჭარა ენერჯი 2007“-ის მიერ ამოღებული და დასაწყობებული ინერტული მასალის (ქვიშა-ლორღი) წლის განმავლობაში განკარგვით. მოპოვებული ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს „რენტის“ გეგმური პარამეტრის გონივრული მოცულობით განსაზღვრა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზეც შეეძლო, თუმცა საფუძვლიანი ანალიზის გარეშე, პესიმისტური პროგნოზით განსაზღვრა, რამაც გეგმური პარამეტრის გადაჭარბებით შესრულება გამოიწვია. ზემოაღნიშნული გარემოებები, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებზე მიუთითებს.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია გაკეთდეს გასულ წლებში შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტობრივად მიღებული თანხების საფუძვლიანი ანალიზი და სისტემურობის გათვალისწინებით, განისაზღვროს დასაგეგმი წლის საბიუჯეტო პარამეტრები.

### 3.2.1 დივიდენდები

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მისაღები დივიდენდების წლიური გეგმა 2,500.0 ათასი ლარით განისაზღვრა. საკასო შესრულებამ 2,547.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 101.9%-ია და 74.3 ათასი ლარით მეტია 2018 წლის მაჩვენებელზე.


დიაგრამა 4. 2015-2019 წლების დივიდენდების დინამიკა (ათასი ლარი)



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 36 საწარმოდან, 2019 წელს დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 3 საწარმოს, საიდანაც შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ და შპს „სავაჭრო ცენტრ 2009“-ის მიერ გადახდილი დივიდენდის საერთო წილი 99.4%-ს (ანუ 2,532.8 ათას ლარს) შეადგენს. არსებული მონაცემები მიუთითებს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მენეჯმენტში არსებულ პრობლემებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაკონტროლებელი სამინისტროების მხრიდან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, დაწყებულია ამ მიმართულებით მუშაობა, მათ შორის, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარუდგინა კანონპროექტი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა ავტონომიური რესპუბლიკების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ლიკვიდაციისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოქმედების წესების რეგლამენტაციას ითვალისწინებს, რაც გააუმჯობესებს მაკონტროლებელი სამინისტროების საზედამხედველო ფუნქციას. ამასთანავე, მაკონტროლებელი სამინისტროების გატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისი და ადეკვატური იმ პრობლემების საპასუხოდ, რაც ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებს აქვთ. კერძოდ, მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამისობის აუდიტის შემდეგ დაიწყო მუშაობა აღნიშნული საწარმოების კუთვნილი აქტივების მოძიებისა და აღრიცხვის მიმართულებით, თუმცა ამ დრომდე არ ხდება საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგებების საფუძველიანი განხილვა-შეფასება,

ბიზნესგეგმების დამტკიცება და ა.შ., რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საწარმოების არაეფექტიან მენეჯმენტს და შესაბამისად, უარყოფით ფინანსურ შედეგებს.

დიაგრამა 5. დივიდენდების შესრულები მონაცემები საწარმოების მიხედვით (ათასი ლარი)



➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ საწარმოებში მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია მაკონტროლებელმა სამინისტროებმა უზრუნველყონ საწარმოების წლიური ბიზნესგეგმების და ფინანსური ანგარიშგებების საფუძვლიანი განხილვა-დამტკიცება, ხოლო შეუსაბამობების/არაეფექტიანი მენეჯმენტის გამოვლენის შემთხვევაში, ადეკვატური ღონისძიებების დროული გატარება. ამასთანავე, მიზანშეწონილია, მაკონტროლებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ იქნეს ხედვა, არამომგებიანი საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის მიმართულებით.

#### 4. არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა თანხებმა 2019 წელს 13,129.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2019 წლის წლიური გეგმის 69.6% -ია და 14,685.3 ათასი ლარით ნაკლებია 2018 წლის მაჩვენებელზე.

ცხრილი 5. არაფინანსური აქტივების კლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

არაფინანსური აქტივების კლება	2018 წლის ფაქტი (1)	2019 წლის გეგმა (2)	2019 წლის ფაქტი (3)	გადახრა (3)-(2)	ზრდა/კლება (3)-(1)	ბიუჯეტის შესრულება (3)/(2)
ძირითადი აქტივები	7,987.7	2,701.0	3,655.5	954.5	-4,332.2	135.3%
მატერიალური მარაგები	918.5	850.0	289.5	-560.5	-629.0	34.1%
არაწარმოებული აქტივები	18,908.1	15,299.0	9,183.9	-6,115.1	-9,724.2	60.0%
<b>სულ არაფინ. აქტივების კლება:</b>	<b>27,814.3</b>	<b>18,850.0</b>	<b>13,129.0</b>	<b>-5,721.0</b>	<b>-14,685.4</b>	<b>69.6%</b>

2019 წელს ძირითადი აქტივების პრივატიზების შედეგად მიღებულია 3,655.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 135.3%-ია და 4,332.2 ათასი ლარით ნაკლებია 2018 წლის მაჩვენებელზე. არაწარმოებული აქტივების პრივატიზებით შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულებულია 60.0%-ით, რაც 9,724.2 ათასი ლარით ნაკლებია 2018 წლის მაჩვენებელზე.

ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლებსა და საკასო შესრულებას შორის არსებით გადახრებთან დაკავშირებით მთავრობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში საპრივატიზებო საფასურის გადახდა ზოგიერთი მყიდველის მიერ არ განხორციელდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. მაგალითად, ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირის N313-ში მდებარე შენობა-ნაგებობების და მასზე დამაგრებული 37,502 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელი თანხა – 1,800.0 ათასი ლარია.<sup>3</sup> ასევე რიგი ელექტრონული აუქციონების, რომლებიც შედგა 2019 წლის დეკემბერში, გადახდის ვალდებულება დგება 2020 წელს. მთავრობის ანგარიშში წარმოდგენილი განმარტება დაუსაბუთებელია, რადგან მოპოვებული ინფორმაციით, 2019 წლის დეკემბერში ჩატარებული აუქციონებიდან – 2020 წელს მოსალოდნელი შემოსულობა შეადგენს 3,484,500.0 ლარს, სადაც მიწის გაყიდვიდან შემოსულობა მხოლოდ 1,075,000.0 ათასი ლარია. ასეც რომ არ იყოს, 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობებში დეკემბერში ჩასატარებელი აუქციონებიდან მისაღები თანხების გათვალისწინება, პროცესის არაეფექტიან მენეჯმენტზე მიუთითებს. ამასთანავე, შესაძლებელია აუქციონები სპეციალურად დაიგეგმა დეკემბერში, რადგან წინასწარი მონაცემებით შემოსულობების სხვა კომპონენტები გადაჭარბებით სრულდებოდა და წლის ბოლოს მოცულობითი ნაშთის თავიდან აცილების მიზნით, მოხდა საპრივატიზებო გეგმის კორექტირება.

მოპოვებული ინფორმაციით, ბიუჯეტის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზი ასევე კურორტ „გოდერძიზე“ მდებარე ობიექტების პრივატიზების პროცესის შეჩერება გახდა, რაც გამოწვეულია განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის პროცესის გაჭიანურებით, მესაკუთრეებთან კომპენსაციის ოდენობაზე შეუთანხმებლობის გამო. ასევე რიგ შემთხვევაში პრობლემას ქმნიდა აზომვითი ნახაზების სიზუსტე (ზედდება მეზობელ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით). არაწარმოებული აქტივების საპროგნოზო მაჩვენებლის შეუსრულებლობა, შესაბამისი სამინისტროს მხრიდან

---

<sup>3</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით.



ადეკვატური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. მათ შორის, უნდა გაანალიზდეს შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გატარდეს სათანადო ღონისძიებები.

2019 წელს მატერიალური მარაგების რეალიზაციის შედეგად ბიუჯეტში მიღებულია 289.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 34.1%-ია და 629.0 ათასი ლარით ნაკლებია 2018 წლის მაჩვენებელზე. აღნიშნული წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული ქვეპროგრამების ფარგლებში, თანაგადახდის პრინციპით გადახდილ თანხებს. ბიუჯეტის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია რიგი ქვეპროგრამის გაუქმების, შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო. მაგალითად, სამინისტროს მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების სათანადო არგუმენტაციის გარეშე, დაგვიანებით დაწყების გამო, ქვეპროგრამების – „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“<sup>4</sup> და „მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა“<sup>5</sup> ფარგლებში, საქონლის/მომსახურების მოწოდება, შესაბამისი ანგარიშსწორება და ბენეფიციარებზე გაცემა, არ მოესწრო 2019 წელს და შესაბამისად, გადავიდა 2020 წელს, ხოლო მიმწოდებლის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო, შეწყვეტილ იქნა ქვეპროგრამის – „ვენახის ფართობებისათვის რკინა-ბეტონის საყრდენი ბოძებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა“<sup>6</sup> ფარგლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. სამინისტრომ უნდა გამოიკვლიოს პროგრამების განხორციელებაში არსებული პრობლემები და გაატაროს ქმედითი ღონისძიებები.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, მიზანშეწონილია, არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით და ახალი რესურსების მოძიების გზით, უზრუნველყოფილ იქნეს პრივატიზაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელება. მათ შორის, უნდა განხორციელდეს ავტონომიურ რესპუბლიკაში განთავსებული ყველა საჯარო ქონების დროული მოძიება-აღრიცხვა და რეგისტრაცია, ხოლო საპრივატიზებო ქონების შემთხვევაში – მიზნობრივი სეგმენტის სწორად შერჩევა და ეფექტიანი მარკეტინგი.

---

<sup>4</sup> კოდი: 07 06 07.

<sup>5</sup> კოდი: 07 06 11.

<sup>6</sup> კოდი: 07 06 08.

## 5. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2019 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობამ 325,967.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 95.3%-ია და 5.4%-ით ნაკლებია 2018 წლის მაჩვენებელზე.

ცხრილი 6. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის ფაქტი (1)	2019 წლის გეგმა (2)	2019 წლის ფაქტი (3)	გადახრა (2)-(3)	ზრდა/კლება (3)-(1)	ბიუჯეტის შესრულება (3)/(2)
ხარჯები	180,766.4	252,864.4	242,270.0	10,594.4	61,503.7	95.8%
შრომის ანაზღაურება	36,042.9	36,533.7	35,929.5	604.2	-113.4	98.3%
საქონელი და მომსახურება	38,454.0	37,448.3	35,431.1	2,017.2	-3,022.8	94.6%
პროცენტი	327.2	1,877.9	1,877.8	0.0	1,550.7	100.0%
სუბსიდიები	4,558.5	6,497.1	6,259.3	237.8	1,700.8	96.3%
გრანტები	80,243.0	79,307.7	75,165.5	4,142.1	-5,077.5	94.8%
სოციალ. უზრუნველყოფა	10,957.8	16,271.0	16,221.6	49.5	5,263.8	99.7%
სხვა ხარჯები	10,183.0	74,928.7	71,385.1	3,543.7	61,202.1	95.3%
არაფინ. აქტივების ზრდა	89,949.4	87,165.4	81,531.0	5,634.4	-8,418.4	93.5%
ფინანსური აქტივების ზრდა	72,367.6	-	-	-	-72,367.6	-
ვალდებულებების კლება	1,315.6	2,173.5	2,166.2	7.3	850.6	99.7%
<b>სულ გადასახდელები:</b>	<b>344,398.9</b>	<b>342,203.4</b>	<b>325,967.3</b>	<b>16,236.1</b>	<b>-18,431.7</b>	<b>95.3%</b>


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში მუდმივად აღინიშნება ფისკალური წლის დასასრულს გადასახდელების ათვისების მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით, რაც ქმნის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკს. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში აღნიშნული ტენდენცია მეტ-ნაკლები შემცირებით ხასიათდებოდა, 2019 წლის დეკემბერში გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებლის 306.2% შეადგინა. მაგალითად, 2019 წლის დეკემბერში გაცემული გრანტების ოდენობა 11 თვის საშუალო თვიური მაჩვენებლის 422.8%-ია, რაც დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ პროგრამების/ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში არსებული ხარვეზების შედეგია. საყურადღებოა, რომ ფისკალური წლის დასასრულს, ზრდით ხასიათდება გადასახდელების ყველა კომპონენტი, გარდა პროცენტისა.

ცხრილი 7. გადასახდელების შესრულება დეკემბერში (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის ფაქტი (1)	2019 წლის 11 თვის ფაქტი (2)	2019 წლის დეკემბრის ფაქტი (3)	2019 წლის 11 თვეში საშუალო ათვისება (4)	2019 წლის დეკემბრის მაჩვენებლის ფარდობა 11 თვის საშუალო მაჩვენებელთან (%) (3)/(4)
ხარჯები	242,270.0	190,036.0	52,234.1	17,276.0	302.4%
შრომის ანაზღაურება	35,929.5	32,123.6	3,805.9	2,920.3	130.3%
საქონელი და მომსახურება	35,431.1	29,555.7	5,875.4	2,686.9	218.7%
პროცენტი	1,877.8	1,741.4	136.4	158.3	86.2%
სუბსიდიები	6,259.3	5,194.1	1,065.3	472.2	225.6%
გრანტები	75,165.5	54,296.8	20,868.8	4,936.1	422.8%
სოციალური უზრუნველყოფა	16,221.6	14,562.3	1,659.3	1,323.8	125.3%
სხვა ხარჯები	71,385.1	52,562.1	18,823.0	4,778.4	393.9%
არაფინანს. აქტივების ზრდა	81,531.0	64,134.2	17,396.8	5,830.4	298.4%
ვალდებულებების კლება	2,166.2	816.4	1,349.9	74.2	1818.9%
<b>სულ გადასახდელები:</b>	<b>325,967.3</b>	<b>254,986.5</b>	<b>70,980.7</b>	<b>23,180.6</b>	<b>306.2%</b>

2019 წლის დეკემბერში გადასახდელების მკვეთრი ზრდა დაკავშირებულია წლის განმავლობაში გადასახდელების/მისი ცალკეული კომპონენტის ათვისების ჩამორჩენასთან კვარტალურ გეგმებთან მიმართებით და რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წინასწარი ანგარიშსწორების სახით (ავანსად) გაცემულ თანხებთან (4,902.8 ათასი ლარი)<sup>7</sup>.

დიაგრამა 6. გადასახდელების კვარტალური/წლიური შესრულება (ნაზარდი ჯამით)



<sup>7</sup> ფაქტობრივად არ არის დამოწმებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფისკალური წლის ბოლოს „სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეული ხარჯების ზრდა განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებზე 2019 წლის დეკემბერში გაწეული დაფინანსებით (17,536.1 ათასი ლარი), რომელიც 2019 წლის 11 თვის საშუალო ათვისების 421.4%-ია. წარმოდგენილი ინფორმაციით, საბიუჯეტო თანხები მიმართული იქნა მშენებარე ინფრასტრუქტურული პროექტების<sup>8</sup> დასაფინანსებლად, სადაც შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმება ძირითადად დეკემბერში განხორციელდა, რაც განპირობებულია რიგი სამუშაოების განსაზღვრულ ვადაზე ადრე შესრულებით. მაგალითად, ქალაქ ბათუმში, საფეხბურთო სტადიონის მშენებლობასთან დაკავშირებით, 2019 წლის 11 დეკემბერს წარდგენილი დოკუმენტაციით (შესრულებული სამუშაოების აქტი (ფორმა N2) და გადახდის სერტიფიკატი),<sup>9</sup> სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ კომპანიაზე, შესრულებული სამუშაოების ღირებულების სახით, წარმოიშვა 2,984.3 ათასი ლარის გადახდის ვალდებულება.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით დეკემბერში გაწეული გადასახდელების ზრდა გამოწვეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ ფარგლებში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის ძირითადი თანხის – 200.0 ათასი ევროს წინსწრებით გადახდის გამო. მართალია, ბიუჯეტში იყო სათანადო ფინანსური რესურსი და სამინისტროს შესაბამისი ხელშეკრულებით ჰქონდა თანხის წინსწრებით გადახდის უფლება, თუმცა მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით, გადახდა ძირითადად განხორციელებულია ბიუჯეტის ათვისების მაღალი მაჩვენებლით წარმოჩენის მიზნით.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია როგორც მხარჯავი დაწესებულებების, ისე მათი მაკოორდინირებელი უწყებების მხრიდან, საკითხის სიღრმისეული შესწავლისა და ფაქტებზე შესაბამისი რეაგირებით (მათ შორის, პასუხისმგებელი პირების მითითებით) უზრუნველყოფილ იქნეს ასიგნებების დროული და თანაბარზომიერი ათვისება. აღნიშნული მნიშვნელოვანია როგორც ბიუჯეტის შესრულების რეალური მაჩვენებლებით წარმოჩენის, ასევე საბიუჯეტო რესურსის მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველსაყოფად.

<sup>8</sup> ბათუმის საფეხბურთო სტადიონი, სპორტული კომპლექსი და სხვ.

<sup>9</sup> შპს „სტადიონსა“ და შპს „ანაგს“ შორის 2017 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება N39 ქალაქ ბათუმში საფეხბურთო სტადიონის სამშენებლო სამუშაოების შესახებ.

## 5.1 ხარჯები

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მთლიანი მოცულობის 74.3% (242,270.0 ათასი ლარი) ხარჯებმა შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მაჩვენებლის 95.8%-ია.

ცხრილი 8. ხარჯების გეგმის შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის გეგმა (1)	2019 წლის ფაქტი (2)	გადახრა (1)-(2)	ბიუჯეტის შესრულება (2)/(1)
<b>ხარჯები</b>	<b>252,864.4</b>	<b>242,270.0</b>	<b>10,594.4</b>	<b>95.8%</b>
შრომის ანაზღაურება	36,533.7	35,929.5	604.2	98.3%
საქონელი და მომსახურება	37,448.3	35,431.1	2,017.2	94.6%
პროცენტი	1,877.9	1,877.8	0.1	100.0%
სუბსიდიები	6,497.1	6,259.3	237.8	96.3%
გრანტები	79,307.7	75,165.5	4,142.1	94.8%
სოციალური უზრუნველყოფა	16,271.0	16,221.6	49.5	99.7%
სხვა ხარჯები	74,928.7	71,385.1	3,543.7	95.3%

ხაზინის ინფორმაციით, 2019 წელს ხარჯების მუხლით ათვისებული საბიუჯეტო რესურსის მოცულობამ შეადგინა 242,270.0 ათასი ლარი, რაც 61,503.7 ათასი ლარით აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები 2019 წლამდე ფინანსდებოდა „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მითითებით, 2019 წლიდან აღნიშნულ საწარმოებში მიმდინარე პროექტები ფინანსდება „სხვა ხარჯების“ მუხლით, რომლის წლიურმა საკასო შესრულებამ 63,312.2 ათასი ლარი შეადგინა.

ხარჯების საკასო შესრულება 10,594.4 ათასი ლარით ჩამორჩება გეგმურ მაჩვენებელს. ბიუჯეტის ათვისების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია პროგრამების დაგეგმვაში არსებული ხარვეზებით, შესყიდვების შედეგად მიღებული ეკონომიებითა და შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადებში შეუსრულებლობით, მაგალითად, „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით ათვისებული დარჩა 320.1 ათასი ლარი. გეგმის ათვისებლობის ძირითადი მიზეზი 2019 წელს განხორციელებული რიგი შესყიდვებია,<sup>10</sup> რომელთა ანაზღაურებაც, სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების

<sup>10</sup> 112.7 ათასი ლარის ღირებულების საგზაო ნიშნების დასამზადებელი მასალები, 40,4 ათასი ლარის ღირებულების დიზელის საწვავი.

დაუსაბუთებლად, დაგვიანებით დაწყების გამო, 2019 წელს აღარ იყო შესაძლებელი. აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების მართვის პროცესში არსებულ პრობლემებზე მიუთითებს. გარდა ამისა, 2019 წლის დეკემბერში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი იყო, თოვლის სახით ნალექის მოსვლის შემთხვევაში, თოვლის საფარისაგან საავტომობილო გზების სავალი ნაწილის წმენდითი სამუშაოები. ვინაიდან აღნიშნული სამუშაოების ჩატარების საჭიროება არ დადგა, სხვადასხვა ღონისძიებაში<sup>11</sup> თანხები არ გახარჯულა.

„ხარჯების“ მუხლში ბიუჯეტის ათვისების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების საკასო შესრულების დაბალი მაჩვენებლით.

ცხრილი 9. მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი ფინანსური დახმარება (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის გეგმა (1)	2019 წლის ფაქტი (2)	გადახრა (1)-(2)	ბიუჯეტის შესრულება (2)/(1)
<b>ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება</b>	60,894.6	57,823.7	3,070.9	95.0%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	30,658.8	29,329.9	1,328.9	95.7%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	15,753.1	14,929.1	824.0	94.8%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	2,394.0	2,268.4	125.6	94.8%
ქედის მუნიციპალიტეტი	4,238.7	3,773.7	465.0	89.0%
შუახევის მუნიციპალიტეტი	4,850.0	4,784.1	65.9	98.6%
ხულოს მუნიციპალიტეტი	3,000.0	2,738.4	261.6	91.3%
<b>ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება</b>	<b>14,507.2</b>	<b>13,515.5</b>	<b>991.8</b>	<b>93.2%</b>
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	5,870.9	5,201.5	669.5	88.6%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	3,645.6	3,598.1	47.4	98.7%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1,019.6	994.1	25.5	97.5%
ქედის მუნიციპალიტეტი	956.4	872.6	83.8	91.2%
შუახევის მუნიციპალიტეტი	1,574.7	1,488.7	86.0	94.5%
ხულოს მუნიციპალიტეტი	1,440.0	1,360.5	79.5	94.5%

მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების ანალიზით ირკვევა, რომ ბიუჯეტის ათვისებლობა ხშირად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები არ ხორციელდება ან ხორციელდება არაჯეროვნად, ან/და

<sup>11</sup> საწვავ-საპოხი მასალები, ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯები, სპეც. ტექნიკის დაქირავების ხარჯები.

მიწოდებლები არ ასრულებენ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს. აუთვისებლობის ერთ-ერთი მიზეზია ასევე ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიები, რაც რიგ შემთხვევაში განპირობებულია იმით, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ბაზრის სათანადო კვლევის გარეშეა განსაზღვრული.

*ცხრილი 10. ინფორმაცია რიგი პროექტების შესახებ (ათასი ლარი)*

პროექტის დასახელება	გამოყოფილი თანხა	საკასო შესრულება	გადახრა	ბიუჯეტის შესრულება	ეკონომიის მიზეზი
ქ. ბათუმში, ე.წ. „ჭაობის დასახლებაში“ ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები.	5,577.8	4,981.2	596.7	89.3%	სამუშაოების ფაქტობრივი (დაგვიანებით) მიწოდება.
ქ. ბათუმში, ე.წ. „ბარცხანის“ ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები.	46.5	-	46.5	0%	შესყიდვა არ განხორციელდა.
ქ. ბათუმში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები.	1,197.7	1,054.6	143.1	88.1%	სამუშაოების ფაქტობრივი მიწოდება.
ქ. ბათუმში, გენერალ ა. აბაშიძის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები.	1,277.2	1,186.7	90.5	92.9%	სამუშაოების ფაქტობრივი მიწოდება.
ქ. ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობის სამუშაოები.	2,280.6	2,131.3	149.3	93.5%	ტურისტული სეზონის განმავლობაში სამშენებლო სამუშაოები შეჩერდა, რამაც გამოიწვია სამუშაოების გარკვეული ეტაპების გადასვლა შემდეგ წელს.
ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში გზაგამტარის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.	1,304.6	1,091.4	213.2	83.7%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყება დაკავშირებული იყო სხვა სამშენებლო სამუშაოების დასრულებაზე, რის გამოც სამუშაოების გარკვეული ეტაპები გადავიდა 2020 წელს.
ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალაშხარში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები.	60.0	-	60.0	0%	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება.
ქედის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობის სამუშაოები.	262.5	-	262.5	0%	ტენდერის პროცედურების გასაჩივების გამო, შესყიდვა გაჭიანურდა. საბოლოოდ, ტენდერი შეწყდა.
ხულოს მუნიციპალური დარბაზის რეკონსტრუქცია-რემონტის სამუშაოები.	181.4	49.9	131.6	27.5%	სამუშაოების ფაქტობრივი მიწოდება
ხულოს მუნიციპალიტეტში ფერდსამაგრი სამუშაოები.	345.8	280.0	65.8	81.0%	ტენდერის ეკონომია

მიუხედავად იმისა, რომ ხშირია არსებითი მნიშვნელობის სხვაობები შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასა და ტენდერზე დაფიქსირებულ ფასს შორის, საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან არ ხდება მიზეზების ეფექტიანი კვლევა და ადეკვატური ღონისძიებების გატარება, რაც ტენდერებზე კონკურენციის არარსებობის შემთხვევაში წარმოშობს ბიუჯეტიდან არაეკონომიური ხარჯის გაწევის რისკებს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ე. ბათუმში, ე.წ. „ჭაობის დასახლებაში“ ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოებზე არ იქნა ათვისებული 596.7 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით, ბიუჯეტიდან მოცულობითი თანხის ათვისებლობა მიმწოდებელი კომპანიის<sup>12</sup> მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დროულად შეუსრულებლობამ გამოიწვია, რაზეც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებულია შესაბამისი ღონისძიებები.

მოპოვებული ინფორმაციით ასევე ირკვევა, რომ ხშირად არ ხდება შესყიდვების შესაფერის დროს განხორციელება, რაც შემდგომში მის დროულად დასრულებას პრობლემას უქმნის. მაგალითად, ე. ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობის სამუშაოების ნაწილი არ განხორციელდა იმის გამო, რომ ტურისტული სეზონის განმავლობაში სამუშაოები შეჩერდა. აღნიშნულის წინასწარ განსაზღვრა შესაძლებელი იყო, თუმცა სახელმწიფო შესყიდვა სათანადო ანალიზის გარეშე დაიგეგმა.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია ეფექტიანი მონიტორინგი განხორციელდეს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადაცემული კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების დროულად ათვისების მიზნით, გამოკვლეულ იქნეს ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები.

### 5.1.1 შრომის ანაზღაურება

2019 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე სულ გაიხარჯა 44,366.3 ლარის ხარჯი. მათ შორის, „შრომის ანაზღაურებამ“ შეადგინა 35,929.5 ათასი ლარი (113.4 ათასი ლარით ნაკლებია 2018 წლის მაჩვენებელზე), ხოლო „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებამ“<sup>13</sup> – 8,436.8 ათასი ლარი (1,319.5 ათასი ლარით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს). შრომის ანაზღაურების მთლიანი სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

<sup>12</sup> NAT180010457.

<sup>13</sup> შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება.



ცხრილი 11. შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის ფაქტი (1)	2019 წლის გეგმა (2)	2019 წლის ფაქტი (3)	გადახრა (2)-(3)	ზრდა/კლება (3)-(1)	შესრულება (3)/(2)
შრომის ანაზღაურება	36,042.9	36,533.7	35,929.5	604.2	-113.4	98.3%
თანამდებობრივი სარგო	35,179.9		34,965.6		-214.3	
პრემია/ჯილდო	838.3		883.8		45.5	
დანამატი	24.8		80.1		55.4	
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	7,117.3		8,436.8		1,319.5	
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგო	7,032.3		8,278.4		1,246.1	
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა პრემია/ჯილდო	85.0		156.9		71.9	
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დანამატი			1.6		1.6	
<b>სულ ხელფასი:</b>	<b>43,160.3</b>		<b>44,366.3</b>		<b>1,206.1</b>	

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2019 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ჯამური ხარჯი 1,206.1 ათასი ლარით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს. მოპოვებული მასალებით ირკვევა, რომ ხელფასის ხარჯების ზრდა სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული, მათ შორის, 2019 წელს შეიქმნა სსიპ – ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი, რომლის ჯამურმა სახელფასო ხარჯებმა შეადგინა 200.8 ათასი ლარი.<sup>14</sup> კანონმდებლობის ცვლილების, ასევე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობისა და თანამდებობრივი სარგოს ზრდის გამო, 2018 წელთან შედარებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების ხარჯები გაზრდილია 109.9 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში – 102.6 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში – 94.6 ათასი ლარით. აღსანიშნავია, რომ მთავრობის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი განმარტება სახელფასო ხარჯების ზრდასთან დაკავშირებით.

## 5.2. არაფინანსური აქტივების ზრდა

2019 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გადახდამ 81,531.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მაჩვენებლის 93.5%-ია და 8,418.4 ათასი ლარით ნაკლებია 2018 წლის მაჩვენებელზე.

<sup>14</sup> ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (05 17): შრომის ანაზღაურება - 83.5 ათასი ლარი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 117.3 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, 2019 წელს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით ათვისებული საბიუჯეტო რესურსის მოცულობა 5,634.4 ათასი ლარით ჩამორჩა გეგმურ მაჩვენებელს. მოპოვებული დოკუმენტაციით, აღნიშნულის ძირითადი მიზეზი პროგრამების დაგეგმვაში არსებული ხარვეზებია, რაც განპირობებულია შესაბამისი გარემოებების არასათანადო გამოკვლევითა და პროცედურების დაგვიანებით განხორციელებით, მაგალითად:

- პროგრამის – „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა“ – 2019 წლის გეგმა 3,750.0 ათას ლარს შეადგენდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის შესყიდვის მიზნით 2019 წლის 11 ნოემბერს გამოცხადებული ტენდერი, საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზების გამო, 2019 წლის 26 დეკემბერს შეწყდა.<sup>15</sup> აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ტენდერის ნომერში გამოცხადება საპროექტო დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღებამ განაპირობა, რაც პროექტის დეტალების შეთანხმებისა და დახვეწის შედეგია, თუმცა როგორც აღმოჩნდა, დაპროექტებული შენობის მოცულობებსა და გაანგარიშებაში უზუსტობები მაინც არსებობდა და მათი გამოვლენა მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპზე მოხერხდა. აღნიშნული მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვები არასათანადოდ იგეგმება და ხორციელდება. განმეორებითი ტენდერი 2019 წლის 27 დეკემბერს გამოცხადდა და შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში საკასო ხარჯი არ გაწეულა.

- ქვეპროგრამის – „სამელიორაციო სისტემის რეაბილიტაცია“ – საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ 807.7 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა – 675.3 ათასი ლარი შეადგინა. ქვეპროგრამის ფარგლებში ათვისებულია 132.4 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 83.6%-ით. შესრულების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გამოწვეულია იმით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ცვლილების შემდგომ (2019 წლის ივნისი) საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტიდან სამელიორაციო საქმიანობის განხორციელების ფუნქცია გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელმაც ვერ უზრუნველყო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების სრულად ათვისება. კერძოდ: შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში სამელიორაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი დაგვიანებით, 2019 წლის

<sup>15</sup> NAT190021387.

ავისტოში, შემდეგ კი – სექტემბერში გამოცხადდა,<sup>16</sup> თუმცა ისინი არ შედგა და შესაბამისად, კლიმატური პირობებისა და დაგეგმილი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მეოთხე კვარტალში ახალი ტენდერის გამოცხადებამ მნიშვნელობა დაკარგა. შესაბამისად, სამინისტრომ ვერ გაითვალისწინა დაგეგმილი სამუშაოების სპეციფიკა და სამუშაოების შესყიდვა მოცემული კლიმატური ზონისათვის არახელსაყრელ პერიოდში გამოაცხადდა, რამაც, თავის მხრივ, უშედეგო ტენდერი და საბიუჯეტო სახსრების აუთვისებლობა განაპირობა. აღნიშნული გარემოებები სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

მიუხედავად იმისა, რომ დაზუსტებულ საბიუჯეტო გეგმასა და შესრულების მაჩვენებლებს შორის ყოველწლიურად არსებითი მნიშვნელობის სხვაობებია, საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან მაინც არ ხორციელდება მიზეზების ეფექტიანი კვლევა და ადეკვატური ღონისძიებების გატარება, რაც ბიუჯეტის და შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მიზნების შეუსრულებლობას განაპირობებს.

### 5.3 ვალდებულებების კლება

2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ვალდებულებების კლებაზე გაწეულმა დანახარჯებმა 2,166.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლის 99.7%-ს შეადგენს და 850.6 ათასი ლარით მეტია 2018 წლის მაჩვენებელზე. წინა წელთან შედარებით ზრდა გამოწვეულია იმით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ – „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ ფარგლებში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის ძირითადი თანხა – 200.0 ათასი ევრო წინსწრებით გადაიხადა. აქვე აღსანიშნავია, რომ შესაბამისმა უწყებებმა დროულად ვერ მოახერხეს პროექტის დაწყება და შესაბამისად, სესხის ათვისება, რის გამოც 2010-2018 წლებში გაწეულ იქნა 172.4 ათასი ევროს არაეფექტიანი ხარჯი, მათ შორის, მხოლოდ სესხის ათვისებელ ნაწილზე ვალდებულებების გადასახადის ხარჯმა 126.8 ათასი ევრო შეადგინა. ამ პირობებში, 2019 წელს განხორციელდა სესხის წინსწრებით გადახდა, რაც მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით, ძირითადად განხორციელდა იმ მიზნით, რომ წარმოჩენილიყო ბიუჯეტის ათვისების მაღალი მაჩვენებელი.

<sup>16</sup> NAT190018035. NAT190015781.

## 6. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, 2019 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების გეგმის შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (99.6%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (90.3%).

ცხრილი 12. გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის გეგმა (1)	2019 წლის ფაქტი (2)	გადახრა (1)-(2)	შესრულება (2)/(1)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	5,370.8	5,165.0	205.8	96.2%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	669.0	649.0	20.0	97.0%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	3,258.4	3,123.3	135.1	95.9%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	96,010.6	90,790.4	5,220.2	94.6%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	53,289.1	51,544.7	1,744.4	96.7%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	22,082.7	22,003.0	79.8	99.6%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	15,362.9	13,876.9	1,486.0	90.3%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	146,159.9	138,815.0	7,344.9	95.0%
<b>ჯამი:</b>	<b>342,203.4</b>	<b>325,967.3</b>	<b>16,236.1</b>	<b>95,3%</b>

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჯამში ბიუჯეტიდან აუთვისებელმა თანხამ შეადგინა 16,236.1 ათასი ლარი, რაც ძირითადად გამოწვეულია შემდეგით:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტის ათვისების პროცენტული მაჩვენებელი ძირითადად „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში, ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის<sup>17</sup> შეწყვეტამ განაპირობა, რაც საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ხარვეზებით იყო გამოწვეული. კერძოდ, ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპზე შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორი განსაზღვრის შესახებ,<sup>18</sup> რის გამოც ტენდერი შეწყდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტენდერის ხარვეზებით გამოცხადება სატენდერო კომისიის მიერ ვალდებულებათა არაჯეროვანი

<sup>17</sup> NAT190021387.

<sup>18</sup> შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 1,980.0 ათასი ლარით მეტი.

შესრულების შედეგია, რაც სახელმწიფო შესყიდვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს. ხელახალი ტენდერი გამოცხადდა 2019 წლის 27 დეკემბერს.<sup>19</sup> შესაბამისად, 2019 წელს არ გაწეულა და ბიუჯეტიდან აუთვისებელი დარჩა 3,750.0 ათასი ლარის ფინანსური რესურსი. მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი (373.3 ათასი ლარი) არ იქნა ასევე ათვისებული სამინისტროს სისტემაში შემავალი – ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ქვეპროგრამის – „რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე“ ღონისძიებებზე, რაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორი განსაზღვრის შედეგია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ბიუჯეტის ათვისების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განპირობებულია „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამაში 718.4 ათასი ლარის ათვისებლობით, საიდანაც 128.4 ათასი ლარი ელექტრონულ ტენდერზე ვაჭრობის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიაა, ხოლო 590.0 ათასი ლარის გადახდის ვალდებულება, ტენდერის პროცედურების დაგვიანებით დაწყებისა და შესაბამისად, მიწოდების თარიღის გახანგრძლივების გამო, არ განხორციელდა 2019 წელს. ზემოაღნიშნული სამინისტროში პროგრამების განხორციელებისა და სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრაციის პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების ათვისების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი ფინანსური დახმარების (გრანტების) გამო, სადაც აუთვისებელი დარჩა 4,062.7 ათასი ლარი<sup>20</sup> (სრული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავში 5.1 – ხარჯები). საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების შესრულების მაჩვენებელზე ასევე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ 2,606.7 ათასი ლარის ათვისებლობამ. ბიუჯეტის გეგმით, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ დაფინანსებიდან 2,500.0 ათასი ლარი განსაზღვრული იყო ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობასთან დაკავშირებული დღგ-ის გადახდისთვის. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, ან/და საქონლის იმპორტი, თუ აღნიშნული ხორციელდება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში

<sup>19</sup> NAT190025735.

<sup>20</sup> ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება - 3,070.9 ათასი ლარი, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება - 991.8 ათასი ლარი.

შესული საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში და ამ ხელშეკრულებების შესაბამისად, ასეთი საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, ან/და საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისგან. რადგან ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობა ხორციელდება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების<sup>21</sup> ფარგლებში, კომპანია გათავისუფლებულია დღგ-ის გადახდისგან (საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, შეყვანილია საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიან ელექტრონულ რეესტრში). მიუხედავად იმისა, რომ კანონით დადგენილი შეღავათი მოქმედებდა 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, არც შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ და არც კომპანიის დამფუძნებელმა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, შესაბამის რეესტრში დარეგისტრირების მიზნით, დროულად არ მიმართეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს.<sup>22</sup> პასუხისმგებელი პირების მიერ სათანადო პროცედურების დროულად განუხორციელებლობის გამო, ბიუჯეტიდან აუთვისებელი დარჩა 2,500.0 ათასი ლარის ფინანსური რესურსი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა სხვა არაერთი პროექტის დაფინანსება. ზემოაღნიშნული ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებზე მიუთითებს. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელებში ნულოვანი ათვისება ფიქსირდება პროექტის – „მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარაში“<sup>23</sup> – დაფინანსებაში (ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 242.5 ათას ლარს). პროექტი ხორციელდება – „სოფლად განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ (ENPARD III) – პროექტის ფარგლებში, რაც მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან თანადაფინანსების ელემენტს, 2019-2022 წლებში – 230.0 ათასი ევროს ოდენობით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2019 წლის ბოლომდე გადასახდელი ჰქონდა 73.4 ათასი ევრო. ბიუჯეტში თანხის მოცულობა (242.5 ათასი ლარი) განისაზღვრა მისი დამტკიცების დროს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის შესაბამისად, რაც 2019 წლის ბოლოს, ვალუტის კურსის ცვლილების გამო, საკმარისი არ აღმოჩნდა, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ დროულად არ განახორციელა სათანადო ცვლილების ინიცირება, რის გამოც 2019 წელს გადახდა არ განხორციელდა. ზემოაღნიშნული სამინისტროში შიდა

<sup>21</sup> 2006 წლის 13 დეკემბერს გაფორმდა „საქართველოსა და შვედეთს შორის განვითარებისათვის თანამშრომლობის ზოგადი წესებისა და პირობების შესახებ“ შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პროექტი აჭარაში“ დაფინანსებას.

<sup>22</sup> პროცედურები დაიწყო 2019 წლის 30 მაისს.

<sup>23</sup> კოდი: 09 07 04.

კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს, რამაც პროექტის არაეფექტიანი ადმინისტრირება გამოიწვია.

## 7. ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და მათი შეფასების ინდიკატორების შესახებ. პროგრამული ბიუჯეტის მომზადება 2013 წლიდან დაიწყო, თუმცა ჯერ კიდევ არ მტკიცდება ბიუჯეტის კანონით და მხოლოდ დანართის სახე აქვს. მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა რიგი პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია, იგი კვლავ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას.

აგრეგირებულ დონეზე გადასახდელების შესრულების მაჩვენებლების მიუხედავად, დაბალი ათვისებით ხასიათდება ცალკეული პროგრამა/ქვეპროგრამა. ამასთანავე, მათი ნაწილის შემთხვევაში, ასიგნებები საერთოდ არ იქნა ათვისებული. ჯამურად, დაზუსტებული გეგმის 75%-ზე ნაკლები ათვისების მაჩვენებელი გააჩნია 8 პროგრამას/ქვეპროგრამას.

ცხრილი 13. რიგი პროგრამის/ქვეპროგრამის შესრულება (ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2019 წლის გეგმა (1)	2019 წლის ფაქტი (2)	გადახრა (1)-(2)	შესრულება (2)/(1)
04 01 04	სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა.	3,750.0	0.0	3,750.0	0%
04 01 05	მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა.	83.0	48.1	34.9	58.0%
05 17 04 01	კარიერული განვითარების ხელშეწყობა.	193.3	121.3	72.0	62.8%
05 17 06 02	ახალგაზრდობის საჭიროებების კვლევა.	33.3	20.5	12.8	61.7%
07 06 15	სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა.	1,413.9	695.6	718.4	49.2%
07 06 16	ვენახის ფართობებისათვის რკინა - ბეტონის საყრდენი ბოძებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.	53.0	14.8	38.2	27.9%
07 06 17	მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა.	248.8	95.9	152.9	38.5%
09 12	ხულოს მუნიციპალიტეტში, კურორტ გოდერძიზე, ფიზიკურ პირთათვის მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ კომპენსაციების გაცემა.	462.0	105.7	356.3	22.9%

ზემოაღნიშნული 8 პროგრამა/ქვეპროგრამიდან აუთვისებელი დარჩა 5,135.4 ათასი ლარი, საიდანაც დიდი წილი ქვემოთ ჩამოთვლილ პროექტებზე მოდის:

- J „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის“ პროგრამის გეგმა შეადგენდა 3,750.0 ათას ლარს, რომელიც არ იქნა გაწეული. პროგრამა ითვალისწინებდა სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების დაწყებას. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორი განსაზღვრის გამო, შერჩევა-შეფასების ეტაპზე შეწყდა. წარმოდგენილი ინფორმაციით, ტენდერის ხარვეზებით გამოცხადება სატენდერო კომისიის მიერ ვალდებულებათა არაჯეროვანი შესრულების შედეგია, რაც სახელმწიფო შესყიდვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს. ხელახალი ტენდერი გამოცხადდა 2019 წლის 27 დეკემბერს, შესაბამისად, 2019 წელს არ გაწეულა და ბიუჯეტიდან აუთვისებელი დარჩა 3,750.0 ათასი ლარის ფინანსური რესურსი.
- J „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის დაზუსტებული ბიუჯეტი, რომელსაც ახორციელებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შეადგენდა 1,413.9 ათას ლარს. ქვეპროგრამიდან აუთვისებელი დარჩა 718.4 ათასი ლარი, საიდანაც 128.4 ათასი ლარი ელექტრონულ ტენდერზე ვაჭრობის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიაა, ხოლო 590.0 ათასი ლარის გადახდა, სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების დაგვიანებით დაწყების<sup>24</sup> გამო, 2019 წელს ვეღარ მოესწრო. მოპოვებული ინფორმაციით, ქვეპროგრამის დაგეგმილ დროს განუხორციელებლობის გამო, ბენეფიციარებმა დროულად ვერ მიიღეს მოსალოდნელი სარგებელი. მიზანშეწონილია, სამინისტრომ გამოიკვლიოს ქვეპროგრამის დაგეგმილ დროს განუხორციელებლობის მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სათანადო ღონისძიებები.
- J „ხულოს მუნიციპალიტეტში, კურორტ გოდერძიზე, ფიზიკურ პირთათვის მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ კომპენსაციების გაცემის“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 356.3 ათასი ლარი. ბიუჯეტის ათვისების დაბალი მაჩვენებლის მიზეზები მთავრობის

<sup>24</sup> მაგალითად, NAT190018831 - ტენდერი გამოცხადდა 2019 წლის 26 სექტემბერს.



ანგარიში განმარტებული არ არის. მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ კურორტ გოდერძიზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან/მოსარგებლეებთან, კომპენსაციის ოდენობაზე შეუთანხმებლობის გამო, ვერ გაფორმდა ხელშეკრულება. წარმოდგენილი ინფორმაციით, შვიდმა მოსარგებლემ (მათ შორის, ერთ მათგანთან ხელშეკრულებაც არის გაფორმებული), უარი განაცხადა კომპენსაციის მიღებაზე. ასევე რიგ შემთხვევაში პრობლემას ქმნიდა აზომვითი ნახაზების სიზუსტე (ზედდება მეზობელ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით)<sup>25</sup>. ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ მხარჯავმა დაწესებულებამ ისე განსაზღვრა პროგრამის მოცულობა, რომ საკითხი სათანადოდ შესწავლილი არ ჰქონდა, აგრეთვე არ ყოფილა შეფასებული მოსალოდნელი შეზღუდვები და პროგრამის განსაზღვრული თანხით დაფინანსების მიზანშეწონილობა.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ პროგრამების შემუშავება განხორციელდეს მოსახლეობის საჭიროებების სათანადო შესწავლისა და დეტალური ანალიზის საფუძველზე, ხოლო პროგრამის განუხორციელებლობის/არაჯეროვანი განხორციელების თითოეულ შემთხვევაში გამოკვლევულ იქნეს მიზეზები და სუბიექტური ფაქტორის აღმოჩენის შემთხვევაში, გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები. ამასთანავე, გამოთავისუფლებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული ახალი პროგრამების/ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

---

<sup>25</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში სულ არის 100 ჰა მიწის ნაკვეთი, საიდანაც ასათვისებელია დაახლოებით 10%.